

„დამტკიცებულია“
 სსიპ-კოლეჯის „მერმისი“ თაოგანობრის
 მოვალეიბის მუშაობის ფესტივალის
 2024 წლის 14 05. N14-100 მუნიციპალიტეტი



სსიპ - კოლეჯი „მერმისი“

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1.

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესის (შემდგომში - „წესი“) შემუშავების მიზანია სსიპ-კოლეჯის „მერმისი“ (შემდგომში - „კოლეჯი“), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის უზრუნველყოფა.

2. წინამდებრე წესი განსაზღვრავს ვიდეომონიტორინგის მიზანს, მოცულობას, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობას, ვიდეო ჩანაწერზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს.

3. კოლეჯში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით.

მუხლი 2.

1. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცის უზრუნველყოფა.

2. კოლეჯის მიერ ვიდეომონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

მუხლი 3.

1. კოლეჯი ახორციელებს შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგს. კამერები აკონტროლებს - კოლეჯის ტერიტორიის მთავარ შემოსასვლელ ჭიშკარს, მანქანის გასაჩერებელ ადგილებს, სკვერს, კოლეჯის შემოსაზღვრულ ღობებზე შიდა კუთხით, გარე სასწავლო შენობა ნაგებობების კარებებს და ფანჯრებს ასევე დამხამრე სასაწყობე და სამეურნეო შენობების კარებებსა და მიმდებარე არეალს. უშუალოდ შენობის შიგნით კამერები განთავსებულია და აკონტროლებენ მთავარ შემოსასვლელ კარებებს და მათ წინ არსებულ სივრცეს (მისაღებს), კიბეების უკრედებს ყველა სართულზე, დერეფნებს,

სასწავლო და ადმინისტრაციულ ოთახებში შესასვლელ კარებებს, ლიფტის შესასვლელებს, ტრენაჟორების დარბაზს და ფაბლაბის ოთახს.

2. კოლეჯის შენობაში ვიდეომონიტორინგის განხორციელება არ ხდება სამუშაო ოთახებსა და პიგინისათვის განკუთვნილ ადგილებში.

3. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის სისტემის მეშვეობით არ ხორციელდება აუდიო ჩაწერა.

4. შენობის, როგორც გარე, ასევე, შიდა პერიმეტრზე განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ „მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი“.

5. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით ჩაწერა ხორციელდება 24 საათი- უწყვეტ რეჟიმში.

6. ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა ხდება როგორც რეალურ დროში, ასევე, შესაძლებელია ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა მოწყობილობაზე ჩაწერა.

მუხლი 4.

1. კოლეჯში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის შედეგად დამუშავებული ინფორმაცია დაცულია უკანონო განადგურებისაგან, გამუღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და დაკარგვისაგან.

2. ვიდეომონიტორინგის სისტემა ფიზიკურად დაცულია გარეშე პირებისაგან, იგი დაცვის ჯიხურშია განთავსებული ეგრედწოდებულ „რეკში“, რომელიც გასღებითაა დაკეტილი.

3. პროგრამულ უსაფრთხოებას იცავს მაღალი დაშიფრის პროტოკოლი (პაროლი), რომელზეც წვდომა აქვს მხოლოდ ქსელის ადმინისტრატორს და ქსელის ადმინისტრატორის ასისტენტს, რომელთაც ეკისრებათ ვალდებულება დაიცვან პროგრამა ნებისმიერი ჩარევისაგან და არ გაამუღავნონ პროგრამის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ინფორმაციის გაცნობაზე არსებობს კოლეჯის დირექტორის თანხმობა.

4. ვიდეოკამერის ჩანაწერი ინახება სამთვალყურეო სისტემების (DVR) შიდა მეხსიერების ბარათებზე.

5. ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა არის, არაუმეტეს 40 დღე. ვიდეოკამერის მოცულობის ამოწურვის შემდეგ, ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერების ავტომატურ წაშლას. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი.

მუხლი 5.

1. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებულ ჩანაწერებს სპეციალური ნებართვის გარეშე შეიძლება გაეცნოს მხოლოდ კოლეჯის დირექტორი.

სხვა შემთხვევაში, ჩანაწერის სანახავად აუცილებელია კოლეჯის დირექტორის თანხმობა, რომელიც მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ავალებს ქსელის ადმინისტრატორს ან მის ასისტენტს კონკრეტული ვიდეო კადრის მოძიებას.

2. კოლეჯის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან ნებართვის გარეშე წვდომის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ქსელის ადმინისტრატორი ან მისი ასისტენტი ახდენს იმ მომხმარებლის იდენტიფიცირებას და მისი მონაცემების აღრიცხვას (დანართი N1) რომელსაც ჰქონდა წვდომა ვიდეოკამერების ჩანაწერებთან (თარიღი, შესვლის დრო, სახელი) და ატყობინებს კოლეჯის დირექტორს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს. აღნიშნული ინფორმაცია ინახება 3 თვის ვადით.

3. კოლეჯის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, ქსელის ადმინისტრატორი ატყობინებს კოლეჯის დირექტორს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

4. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერის მესამე პირისთვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 6.

1. კოლეჯი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

2. ვიდეომონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს კოლეჯის დირექტორს ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

3. ვიდეო მონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

დანართი N1

აღრიცხვის ფორმა